

მცირე საზოგადოების კაპიტალის ფორმები ვირტუალურ ქსელში

ლაშა ჩილინდრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგი თევზაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ჩილინდრიშვილი:

თარიღი: 02.02.2018

აბსტრაქტი

გლობალური ელექტრონული ქსელის დინამური განვითარება და მისი ინტეგრირება ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში უსწრებს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ გააზრებას. არადა, ისეთ მასშტაბური მოვლენა, როგორიცაა ინტერნეტი, რომელმაც მოახდინა მესამე ტექნოლოგიური რევოლუცია, აუცილებელ შესწავლას მოითხოვს და სოციოლოგიის თვალთახედვით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ვირტუალური საზოგადოებების კვლევა. ინტერნეტის ფენომენის წყალობით არა მხოლოდ ახალი საკომუნიკაციო საშუალება გაჩნდა, არამედ ახალი ტიპის საზოგადოების კრეაციის შესაძლებლობაც. ნაშრომში გამოკვლეულია ვირტუალურ საზოგადოებაში არამატერიალური კაპიტალის გავლენა, ვირტუალური ველის მაგალითად კი გამოყენებულია სოციალური ქსელი Qwelly. კვლევა აღწერლობითი და ანალიტიკური მეთოდებით ხორციელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური საზოგადოება შექმნილია რეალური ადამიანების მიერ და თავდაპირველად ვითარდებოდა კლასიკური სოციოლოგიის პრინციპებით, დროის განმავლობაში იგი იძენს მინიმუმ ერთ ფენომენალურ თვისებას, რომლის ანალოგი არ არსებობდა და ვერც იქნებოდა Offline საზოგადოებაში.

ძირითადი ტერმინები: გლობალური ქსელი, ვირტუალური სივრცე, ონლაინ საზოგადოება, ვირტუალური კაპიტალი, სიმბოლური კაპიტალი, კულტურული კაპიტალი, კიბერპროტეზი, ჰიპერრეალობა, სიმულაკრი, ინტერნეტი, აქტორი

Abstract

The dynamic development and integration of the World Wide Web in the various fields of human life exceeds the scientific understanding of the processes in this field. However, such a largescale phenomenon, like Internet, which triggered the third technological revolution, requires special research and from the perspective of sociology, studying virtual society is a subject of a big interest. Internet is not just a new mean of communication, but it also gives a possibility to create a new type of society. This work analyzes the impact of non-materialistic capital on virtual society. As an example of virtual field a social network Qwelly was used. The study was carried out by using description and analytical methods. Although virtual society is created by real people and originally developed under the principles of classical sociology, after a certain time it has acquired at least one phenomenal feature, which neither existed nor could have existed in the offline community.

In basic terms: Global network, Virtual space, Online society, Virtual capital, Symbolic capital, Cultural capital, Cyberpractice, Hyperrealism, Simulacry, Internet, Actor.